

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 13 მაისის

დადგენილება №1150

2013-2014 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ.

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 3 აპრილის N393 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისთვის 2014 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი 592 სახელმწიფო სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2013-2014 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით, შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:
 - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91%-ს და მეტს;
 - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე